საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 14 ივნისი 2024 წ.

ბრძანება №01-08/28

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტზე კონცერტმაისტერის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 14 ივნისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტზე კონცერტმაისტერის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის" პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და მუსიკის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის (№275, 13.06.2024) საფუძველზე ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტზე 2024 წლის 01 სექტემბრიდან კონცერტმაისტერის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, დანართი №1-ში მითითებული მიმართულებების მიხედვით.

2. კონცერტმაისტერის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს უმაღლესი სამუსიკო განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს კონცერტმაისტერად მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

3. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) საბუთების მიღება იწარმოებს 2024 წლის 15 ივლისიდან 19 ივლისის ჩათვლით, 10.00 საათიდან 16.00 საათამდე, საპროცედურო კომისიაში (მის: ქ. ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, პირველი სართული, ოთახი №103).

ბ) კონკურსი ჩატარდეს 2024 წლის 23 ივლისს;

გ) კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე batu.edu.ge არაუგვიანეს 2024 წლის 25 ივლისისა;

დ) კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს 2024 წლის 01 სექტემბრიდან.

4. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საპროცედურო კომისიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით, აგრეთვე ანკეტაში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

დიპლომის, სერტიფიკატის, მოწმობის, სიგელის, ცნობის და ა.შ. ასლი (დედანის წარმოდგენით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) 2ც. ფოტოსურათი, 3X4;

ე) შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ვ) ნასამართლობის შესახებ ცნობა (შენიშვნა: ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება) - გაცემული საკონკურსო განცხადების წარმოდგენამდე 15 დღის ვადაში.

5. კონკურსი ჩატარდეს ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 14 ივნისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტზე კონცერტმაისტერის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის" და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

6. დამტკიცებულ იქნეს კონკურსანტის განცხადების (დანართი№2), ანკეტის (დანართი №3), საჩივრის (დანართი№4), განცხადებისა და საჩივრის მიღების შესახებ ცნობების (დანართი№5, დანართი №6), კონკურსის მონაწილეთა და საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალების (დანართი№7, დანართი №8) ფორმები.

7. ინფორმაცია (დანართი №9) კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და ბხსუ-ს საინფორმაციო დაფაზე.

8. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **თ. კეჟერაძე**